ეროვნული ბიბლიოთეკა


გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . | 10 | — | 6 . . | 6 | — |
| 11 . . | 9 | 50 | 5 . . | 5 | 50 |
| 10 . . | 8 | 75 | 4 . . | 4 | 75 |
| 9 . . | 8 | — | 3 . . | 3 | 50 |
| 8 . . | 7 | 25 | 2 . . | 2 | 75 |
| 7 . . | 6 | 50 | 1 . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.


# ივერია


გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ზ. ჭიჭინაძის სავაჭროს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1887 წელიწადი


**გაზეთი „ივერია“ პირველის იანისიდამ წლის დამლევამდე ღირს 6 მ. 50 კ.**

ტფილისი, 29 მაისი

ტფილისის ქალაქის საბჭოში ხმოსანმა ბ-ნმა გარსოევმა ამას წინად შეიტანა წინადადება იმის თაობაზედ, რომ ქალაქში შემოღებულ იქმნას ცეცხლისაგან საურთიერთო ნდობით დაზღვევა შენობებისა. ბ-ნ გარსოევის წინადადება იმაზედ იყო აგებული, რომ ეხლანდელნი დაზღვევის აქციონურნი საზოგადოებანი დიდ-ძალს ფულს ახდევინებენ დამზღვეველთა და რადგანაც ერთმანეთში პირობა აქვთ შეკრული, რომ არავინ მათგანმა არ გაჰბედოს შემდეგში დაკლება ამ გადასახადისა, ამიტომაც იმედიც არ არის, რომ ოდესმე დაზღვევინების ფასი დაიკლებს. განსაკუთრებული მდგომარეობა ამ აქციონურ საზოგადოებათა, რომელთაც მოცილეობას დღეს ვერავინ გაუწევს, დიდს ზიანს აძლევს ქალაქის მამულების პატრონთა და ხმა ამოუღებელ მოხარკეთა ჭხდის თვითვეულს მათგანს აქციონერების წინაშე. ამ საბუთებით ბ-ნმა გარსოევმა მოსთხოვა ქალაქის საბჭოს, რომ ამ ამბავს ყურადღება მიაქციოს და თვით შენობის პატრონთაგან, ვითარცა ცეცხლისაგან დამზღვეველთაგან, საურთიერთო ნდობით დამზღვეველი საზოგადოება შეადგინოს.

ამ თითქმის ერთის თთვის წინად ბ-ნ გარსოევის წინადადება გარჩეულ იქმნა ქალაქის საბჭოში. ამ ფრიად საყურადღებო საქმეს წინააღუდგა მარტო ერთი ხმოსანი, რომელმანც თვით დედა-აზრი წინადადებისა უარ-ჰყო. სხვებმა-კი, ვინც ამ საგანზედ ილაპარაკა, დედა-აზრი შეიწყნარეს და მხოლოდ მის განხორციელების თაობაზედ გამოითქვა სხვა-და-სხვაობა აზრისა. ამ ბაასის მიმოსვლაში ორი საკითხავი საგანი გამოირკვა: ერთი—კეთილ-ნებობითს სურვილზედ დამყარებულ იქმნას ეგ ურთიერთობა დაზღვევისა, თუ შენობის ყველა პატრონისათვის სავალდებულო იყოს დაზღვევა და მაშასადამე, საურთიერთო თავდებობაცა,—და მეორე—თვითონ ქალაქმა მარტო ზედამხედველობა იქონიოს ამ საურთიერთო თავდებობით დაზღვევის გამგეობაზედ, თუ თვითონ ჩაიბაროს გამგეობა ამ საზოგადოებისა და თვითონ აწარმოვოს საკუთრად მისნი საქმენი.

ამ სახით ქალაქის საბჭოს ქალაქის თავმა ოთხი საგანი დაუდვა გადასაწყვეტად: 1) ჰსურს საბჭოს თუ არა, მიიღოს თვით დედა-აზრი საურთიერთო თავდებობით დაზღვევის საზოგადოებისა; 2) თუ ჰსურს, ქალაქის გამგეობას მიენდოს თუ არა შედგენა წესდებისა; 3) ქალაქის მმართველობასთან ერთად დაწესდეს კეთილ-ნებობითი საურთიერთო თავდებობით ცეცხლისაგან შენობების დაზღვევა, 4) თუ თვითონ ქალაქმა ჩაიბაროს საკუთრივ გამგეობა ამ გვარის საზოგადოების საქმეთა.

საბჭომ გადასწყვიტა, რომ დაწესდეს მაგისთანა საზოგადოება იმ პირობით, რომ თვითონ ქალაქმა მიიღოს პირდაპირი მონაწილეობა საზოგადოების საქმეთა გამგეობისა და ქალაქის სამართველოს მიენდოს წესდების შედგენა.

ჩვენის ფიქრით, მეტად აჩქარებულა ქალაქის საბჭო, რომ ესე გადაუწყვეტია და ის საგანი, რომელიც სულსა და გულს ამ საქმისას შეადგენს, არ გამოუძიებია, არ გამოურკვევია იმოდენად, რამოდენადაც თვით სიმძიმე საგნისა ჰთხოულობს. ეს საგანი იგი საკითხავია, რომელიც ზემოდ ჩვენ პირველ რიგში მოვიხსენიეთ, სახელდობრ: დამზღვეველთა ნებაყოფლობაზედ უნდა იქმნას დამოკიდებული თვით დაზღვევა ცეცხლისაგან შენობებისა, თუ ეგ დაზღვევა სავალდებულო უნდა იყოს ყველასათვის. თუმცა საბჭოს გადაწყვეტილებისაგან სჩანს, რომ საბჭოს პირველი საკითხავი შეუწყნარებია, მაგრამ, ვიდრე ეს ასე მოხდებოდა, საბჭოს კარგად უნდა გაეზომა სასწორი. მთელი ნასკვი ამ საურთიერთო თავდებობით დაზღვევის საქმისა ამ ორ საკითხავშია. იგივენი თვითვეულად ცალკე არიან საწყაონი თვით საზოგადოების სიკეთისა, ხეირისა და სარგებლობისა ქალაქის მკვიდრთათვის, იმიტომ-რომ ერთსაცა და მეორესაცა სულ სხვა-და-სხვა შედეგი და ბოლო მოსდევს და მაშასადამე არა ერთ ნაირი და ერთის ზომის სიკეთე, ხეირი და სარგებლობა.

როგორც ეტყობა, საბჭო ბევრს ხანს არ შემდგარა ამ საკითხავებზედ და მაშასადამე, საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ამაების დიდი მნიშვნელობა არ უცვნია. ეს არ შეიძლება შეცდომად არ ჩავუთვალოთ საბჭოსა მით უფრო, რომ ერთს საგანზედაც და მეორეზედაც ბევრი აზრია გამოთქმული როგორც რუსეთში, ისეც სამზღვარგარედ და საჭირო იყო ამ აზრების ცოდნა და თვითვეულის მათგანის აღებ-დაღება იმ გარემოების მიხედვით, რომელიც ჩვენის ქალაქის განსაკუთრებულს კუთვნილებას შეადგენს. უამისოდ ყოველივე წესდება, რომელსაც-კი ქალაქის გამგეობა, საბჭოს გადაწყვეტილებისამებრ, შეადგენს, გადმოწერილი წესდება იქმნება და არა ჩვენის ქალაქის ჩვეულებასა, ხასიათსა, ვითარებასა და გარემოებაზედ მოწყობილი და აგებული. ამ ჩვეულებასა, ხასიათსა, ვითარებასა და გარემოებაზედ, თუ სულ არა, ბევრი რამ მაინც არის დამოკიდებული ცეცხლისაგან დაზღვევის საქმეში. მისი ავი და კარგი, მოგება და წაგება თუ წინადვე ამაებს არ დაეკითხა, მათს ძალ-მომრეობაზედ წინადვე არ დაემყარა და ყოველს ამას თვითონ დედა-აზრი არ შეუფერა, მარტო ურთიერთობის თავდებობით შექმნილი საზოგადოება უდღეო შვილი იქმნება წინ-დაუხედავად მოარულის კეთილის სურვილისა და სხვა არა-რა. ყოველს ამას ზედ-მიწევნით გამოძიება უნდოდა და მაშინ აზრს შუა-მოყვანილი გზა გაეხსნებოდა ამის გადასაწყვეტად: კეთილ-ნებობითი დაზღვევა დაედოს საძირკვლად განზრახულს საზოგადოებას დაზღვევისას, თუ ვალდებულობითი. უამისოდ ან ერთზედ, ან მეორეზედ ჰოსა თუ არას თქმა საალალბედო საქმეა და მაშასადამე, ადვილად შესაცდენელი.

## ახალი ამბავი

*** დაიბეჭდა და ამ კვირას დაურიგდება მაღაზიებს გასასყიდად ბ-ნის მაჩხანელის თხზულება „ძმური სიტყვა“. წიგნი ძრიელ სუფთაა და სულ 150 გვერდს შეიცავს. რადგანაც ავტორს ჰსურს, რომ ხალხში გავრცელდეს, ამიტომ ფასი მეტად მცირე დაუნიშნა, სახელდობრ ერთი აბაზი. ეს წიგნი სულ 960 ეგზემპლიარი დაიბეჭდა.

*** დღეს ჩვენ მოგვივიდა ახლად დაბეჭდილი „ლექსნი კ-ნა ნინო ორბელიანისა“. ეს კრებული ლექსთა პატარა წიგნია, სულ 80 გვერდი; წიგნს ჩართული აქვს ავტორის სურათი და ღირს ორი აბაზი.

# ფელეტონი

## ქარიშხალი

(მიმსგავსება პუშკინისა)

ქარიშხალი ჰბერავს, გრგვინავს, გრიალებს,
ცას აბნელებს, თოვლის ბუქს ატრიალებს,
ხან ზუზუნებს, ხან ჰკნავის როგორც ბაშვი,
ხან ვით ლომი, ვით ნადირი ღრიალებს.

—

ჩვენი ქოხი, ეჰ, მკვდი და ბნელია,
და სიცოცხლე მაში დიას ძნელია;
მაგრამ ჩემის ობლობისა გამზდელო
რას დაღონდი? სჩანს ეს ჩვენი ეტლია!

—

მო, ბუხარში ცეცხლი დავაგრიალოთ,
და შამფურზედ მწვადი დავატრიალოთ;
მისის ყნოსვით, მის შიშხინით დამტკბარნი
ცეცხლს მოვუსხდეთ და ჭმუნვა უკუ ვაგდოთ.

—

გამიგონე, კულა ჩავაკარკაროთ,
ცრუ ფიქრები, სევდა გულს განვიქაროთ,
ჰბეროს დეე ქარიშხალმა კარშია;
ჩვენ ცეცხლის წინ დავტკბეთ და გავიხაროთ.

—

შენ მიამბე გულ-საამო ზღაპრება
და მკვდთ გმირთა საკვირველნი ამბები,
რაც გინახავს და ვისგან რა გსმენია,—
გისმენ გულით და არ დამემდურები.

═

ის არაკი, როგორც ბედით სვიანი,
იყო სადმე ქალი პირათ მზიანი,
როგორც დაწვა და ეულა მშვენიერს
ვარდებრ ტურფა ვაჟი ოქროს თმიანი.

—

მო, მითხარი აზათხანთან ომები,
ის ქართველთ ხმალთ დიდებული დროები,
იმ დროებზედ ბევრი გაგიგონია;
და ან მკვდნი მიმღერე სიმღერები.

—

და წარსული კიდევ მოგვეჩვენება
და ბევრი რამ, ბევრი მოგვეზმანება;
მაგრამ გესმის? ქარი როგორ ზუზუნებს,
რა ტკბილად-კი ჩვენ წინ ცეცხლი ღუღუნებს.
აჰა კულა, ჩავსხდეთ, ჩავაკარკაროთ
მწარე ფიქრნი რომ განჰქრენ და დავკარგოთ.

—

ქარიშხალი ჰბერავს, გრგვინავს, გრიალებს,
ცას აბნელებს, თოვლის ბუქს ატრიალებს,
ხან ზუზუნებს, ხან ჰკნავის როგორც ბაშვი,
ხან ვით ლომი, ვით ნადირი ღრიალებს.

ვ. ო.

## ჩიტი-გვრიტი

(შემდეგი*)

როდესაც მისსიონერი წარმართთა შორის იმყოფება და გულითა სწადიან მათი მოქცევა, თავ-და-პირველად თვითონა სცდილობს ზედ-მიწევნით აღასრულოს თავის სარწმუნოების თვითეული მაღალი თუ მცირე მნიშვნელოვანი ვალდებულება; ერთის სიტყვით, ყოველს თავის სიტყვას შეძლებისადა გვარად საქმედ აქცევს და არასოდეს არავითარს საბუთს მოსაქცევთ ხელში არ ჩაუგდებს, რომ მათის მხრივ მოძღვრებისადმი რაიმე იჭვი და მიუნდობლობა გამოიწვიოს. აშკარაა, მხოლოდ ამ გზით თუ რაიმე გაკეთდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ მოძღვარმა არა-საქებელის თავის საქციელით ყოველს ნაბიჯზედ თავის სიტყვას თვითონვე უღალატა, დაარღვია, მსმენელთ ერთხელ და სამუდამოდ გულს აუცრუებს და მაშინ მათი მოქცევა ხომ რაღა წარმოსადგენელი იქმნება.

თავისდა საუბედუროდ, გვრიტს ხშირად სწორედ ასე მოსდიოდა ხოლმე. ხშირად თვითონ სჩადიოდა იმას, რაზედაც ჩიტს აფრთხილებდა, არიგებდა და ამ თავისავე დარღვევას სრულიადაც ვერ ჰგრძნობდა ხოლმე. კეთილი მოწაფე ჩიტი ქმრის ბორძიკს ზოგჯერ შენიშნავდა ხოლმე, მაგრამ მხოლოდ „ზოგჯერ“ და არა მომეტებულ ნაწილად.

უფრო ხშირად ჩიტი ნოყიერ ნიადაგის მზგავსად, ავისა და კარგის მცენარის თესლს ერთ ნაირად მიიღებდა ხოლმე, ქმრის სწორე და უკუღმართს სიტყვას ერთ ნაირის ხალისით ინერგავდა; ქმრის მცირეოდენს კაი სიტყვას და ბლომა უვარგისს საქმეს, მოქმედებას ერთ ნაირად ითვისებდა. და რადგან ყოველთვის საქმეს უფრო მეტი მნიშვნელობა ჰქონია, ვიდრე სიტყვას, თუნდა რაოდენობით ერთი მეორეს არა სჭარბობდეს, ადვილი წარმოსადგენია, რა შედეგი ექმნებოდა გვრიტის სასტიკს ზედ-გავლენას ჩიტის ყოველისფერში ნაზს და ნორჩს ბუნებაზედ.

ვიმეორებთ, გვრიტი ამას ვერ ჰგრძნობდა და აბა კიდეც ეს იყო ტკივილი მისის აღმზრდელობისა.

ნეტარ ცოლ-ქმართა სეირნობა გაგრძელდა და მათი ბაასი უფრო-და-უფრო აჰრელდა. ქმარი განგებ სცდილობდა სხვა-და-სხვა საგნებზედ ჩამოეგდო ლაპარაკი, რომ ამ გზით ჩიტისათვის რაიმე სასარგებლო აზრი ჩაეგონებინა. საზოგადოდ არც თუ ცოლი ჩამორჩებოდა ხოლმე ამ მხრივ თავის მეუღლეს: რაკი რომ უკანასკნელს მასალა შემოელეოდა, ახლა ის მოჰყვებოდა ახლად ენა-ადგმულ ბავშივით ტიტინს. მერე რა გინდა, რომ იმას არ ეთქვა; რა უცნაური საკითხავი გინდა, რომ იმ საკითხავით ქმრისათვის არ მიემართა! მერე ამ საკითხავებით რამდენჯერ საქმე გაუჭირებია ჩვენის ფილოსოფოსისათვის; რამდენჯერ გაწითლებულა ეს ბრძენი და არ სცოდნია, რა ნაირად მოახერხოს პასუხი, რომ საყვარელ მოწაფის ცნობის-მოყვარეობაც ჯეროვანად დააკმაყოფილოს და არც სისულელე რამ წამოროშოს, რათა მის წინაშე უცოდინარობა არ გამოიჩინოს და ესტიბარი არ გაიტეხოს.

ამ ქამად ჩიტი სხვათა შორის ასე დაეკითხა თავის მეუღლეს:

— ერთი ეს მითხარ, ჩემო გვრიტო, ყველა ქმარი ხომ ქმარია და ყველა ცოლი—ცოლი; რატომ ყველა ცოლს ისე გაგიჟებით არ უყვარს თავისი ქმარი, როგორც მე შენ მიყვარხარ?

— ეჰ, ჩემო ჩიტუნიავ,—მკვირცხლად მიუგო გვრიტმა:—ქმარიც არის და ქმარიც! თუ შენ ასე ძალიან გიყვარვარ, ეს იმის უტყუარი ნიშანია, რომ მე ისეთი ღირსებანი და თვისებანი მაქვს, რომ შენს გულის და სულის მოთხოვნილებას სრულიად ვაკმაყოფილებ. ყველა ქმრისათვის განგებას არ მიუნიჭებია ასეთი შნო და ამიტომ არც განურჩევლად ყველა ქმარი სტკბება თავის ცოლის გულითადის სიყვარულით.

— ეს როგორღაც კარგად ვერ გავი-

*) იხ. „ივერია“ № 105.

*** დღეს რუსულს თეატრში მოსკოვის არტისტი ა. ი. იუჟინი (თ. სუმბათაშვილი) პირველად ითამაშებს ტფილისის საზოგადოების წინაშე ჰამლეტის როლსა. ოფელიას როლს-კი ქ-ნი საეინა ითამაშებს. ბ-ნი იუჟინი სულ ხუთს წარმოდგენაში მიიღებს მონაწილეობას.

*** სახელმწიფო ქონებათა გამგეობა, რა-კი ზაფხული დადგა, გზავნის სხვა-და-სხვა ადგილებში თავის აგრონომებს მეურნეობის სხვა-და-სხვა საჭიროების გამოსაკვლევად. ამას წინად, როდესაც ბარიდამ ცხვარი დაიძრა და მთაში გარეკვა დაუპირეს, გაგზავნილი იყო ერთი აგრონომი ამ საქმის შესასწავლად. ახლა ბ-ნი აგრონომი გეევსკი გაუგზავნია სოფ. ქიურდამირში (შემახიის მაზრაში) თუთის ხის ავადმყოფობის გამოსაკვლევად; ამ ავადმყოფობას იქაური მცხოვრებლები „კიუმეულს" ეძახიან და ძალიანაც აფუჭებს თურმე ხეებსა. ამ ავადმყოფობის ამბავი პირველად შეატყობინა სამეურნეო საზოგადოებას ბ-ნმა აბელიანცმა. აგრონომი ხოჯაევი გაუგზავნიათ ყუბანის ოლქაში ფილოქსერის გამოსაკვლევად.

*** კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას უთხოვნია მთავარ-მართებლისათვის ოთხმოც-და-ათი თუმანი, რომელიც უნდა მოიხმაროს ხარკოვის გამოფენაზე თავის განყოფილების დასაარსებლად. დიდად სასურველია, რომ სამეურნეო საზოგადოებამ ხელმძღვანელობა გაუწიოს ჩვენს მემამულეთ, რომელთაც უნდათ მონაწილეობა მიიღონ ამ გამოფენაში, მაგრამ მარტო ვერა ჰბედავენ. ბევრი მათგანი სთხოვს საზოგადოებას, რომ მათი ნაწარმოები საზოგადოებამ თავის კოლლექციაში ჩაურიოს.

*** მაისის 28-ს, ავლაბრის ზემო ხიდთან, ზუბალოვის ქარვასლაში, სამი დუქანი მორღვეულა ერთბაშად სიძველის გამო და მტკვარში ჩავარდნილა. არა უბედურება არა მომხდარა, რადგანაც ამას წინად ავლაბრის პოლიციის ბოქაულის თანაშემწეს უნახავს ეს ძველი დუქნები და მდგმურები გამოუყვანინებია.

*** გაზ. „Новости" გვაუწყებს, რომ ბაქოში დაარსებული იქნება კერძო კომიტეტი, იქაურ სახელმწიფო პალატის უფროსის თავს-მჯდომარეობით. ამ კომიტეტის ვალდებულება იქნება ზედამხედველობა იქონიოს ნავთის ვაჭრობაზე და აგრეთვე იზრუნოს, რომ ნავთის მექარხნეებმა დაბალ ხარისხოვანი ნავთი არა ჰყიდონ. ამ კომიტეტში მონაწილეობას მიიღებენ წარმომადგენელნი სახელმწიფო ქონებათა და ფინანსთა სამინისტროებისა და აგრეთვე დეპუტატები ნავთის მექარხნეებისა.

*** იგივე გაზეთი გვატყობინებს, რომ მოსკოვში შემდგარა ოფიციალური კომისია ექიმებისა და პედაგოგებისაგან, პროფესორ ერისმანის თაოსნობით და იმისავე თავ-მჯდომარეობით; კომისია გამოიკვლევს და გაარჩევს სასკოლო ჰიგიენის საგნებსა. პირველად გამოკვლეული იქნება ყმაწვილების უმეტესად დაღლა სწავლის გამო, სანიტარული მდგომარეობა ჩვენის სკოლებისა და სხვა ამ გვარივე საგნები.

*** ამას წინად მკითხველებს მოვახსენეთ, რომ კავკასიას ეწვია მთავრობის კომისია ტყიბულის რკინის გზის გასასინჯავად და მისაღებადაო. ახლა, როგორც გვატყობინებს „Новое Время", ზემოხსენებულ კომისიას დაწერილებით გაუსინჯავს ეს გზა და მოსწონებია კიდეც. გათავებას ისე ცოტა უკლიათ, რომ შეიძლება მთავრობამ ახლავე ჩაიბაროსო. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ეს რკინის გზა ქვა-ნახშირისათვის არის გაკეთებული და აქამომდე-კი თითქმის არავის დაუწყვია ქვა-ნახშირის მადნების შემუშავება. მარტო ბ-ნ შაბუროვს ამოუღია ცოტაოდენი ქვა-ნახშირი. ტყიბულში ყოფილა ზღვათა მინისტრი ვიცე-ადმირალი შესტაკოვი, ტყიბულის ქვა-ნახშირის მადნები ძრიელ მდიდარ მადნებად უცვნია და უთქვამს: კარგი იქნება, რომ ტყიბულის ქვა ნახშირი შავის ზღვის სამხედრო გემებზე ვიხმაროთო.

*** 28 მაისს ოსმალეთის ქვეშევრდომი მალხაზ მელკონოვი ბზის მეიდანთან ცხენებს აბანავებდა მტკვარში და გაუფრთხილებლობით თითონაც დაირჩო და ცხენიც.

*** 28 მაისსავე ქალაქის მე-3 ნაწილის ექიმმა მე-7 ნაწილის პოლიციის პრისტავის თანადახმარებით გასინჯა ნავთლუხის სამეწვრილმანოები, საყასბოები, სამიკიტნოები და ფურნეები და ალმოაჩინა, რომ ეს დუქნები სუფთად და წმინდად არის შენახული და მოვლილი და საქონელიც კარგის ღირსებისა ისყიდებაო.

*** 29 მაისის წინა-ღამეს, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ბ-ნ მიხაილოვის სახლთან მიუგდიათ ახლად დაბადებული ყმაწვილი-ქალი. ყმაწვილი საბებიო ინსტიტუტში გაუგზავნიათ.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ჩვენ გულთა-მხილავნი არა ვართ და ვერც ვიტყვით, რა უდევს ამ ჟამად გულში ევროპის დიპლომატიას, რას ამზადებს ჩუმ-ჩუმად პოლიტიკაში და რას გამოატყვრენს ხვალ მოულოდნელად. უმჯობესია მივაქციოთ მკითხველების ყურადღება იმას, რაზედაც დღეს გაზეთები საკმაოდ გაცხარებითა ლაპარაკობენ. ეს ადვილად შესაძლებელია, რომ სწორედ ეს სალაპარაკო საგნები შეიქნეს ახლო მომავალში პოლიტიკის უმთავრესს საქმეებადაც.

ავღანისტანის საქმეზედ გუშინდელსავე ნომერში ასეთის რიხიანობით ლაპარაკობდა გაზეთი „Новое Время":

> ტყუილად ჰგონია ინგლისს, ვითომ რუსეთი ავღანისტანის საქმეებს თვალყურს არადევნებს. ინგლისი ამბობს, რომ ჩვენ რუსეთს ისე გუცქერით, როგორც დიდს სახელმწიფოს, რომელმაც იკისრა, ვითომ რომ ჩემს გავლენას, ზედმოქმედებას ავღანისტანში არაოდეს არ გადავიტან და არ გავავრცელებო. თუ ეგ იყო ოდესმე, თუ რუსეთმა მაგ ნაირი ვალდებულება იკისრა უწინ, მას უკან ბევრმა წყალმა ჩაიარა და დღეს დროცა და საქმეთა ვითარებაც სრულიად შეიცვალა. იმ ვალდებულებას ახლა სრულიად ძალა აღარა აქვს.

გაზეთი თან-და-თან ასე მამაცურად ათავებს თავის წერილს:

> თუ ინგლისელებს განუზრახავთ ავღანისტანის ხელში ჩაგდება და ჩვენ შევიტყვეთ, რომ ისინი ჩვენი მეზობლები შექმნილან შუა-აზიაში, ჩვენ არა დაგვიშლისრა მოვთხოვოთ ინგლისს დასამტკიცებული საბუთი, რომ იმისი მეზობლობა სამძიმო არ იქნება ჩვენთვის. თუ მოგვცა ამ ნაირი საბუთი, ხომ კარგი, თუ არა და ჩვენ შესაბამ ღონის-ძიებას ვიხმართ და სრულიადაც არ მივხედავთ იმას, ეამებათ ინგლისელებს ესეთი ჩვენი საქციელი, თუ ეწყინებათო.
>
> განა რაღა ძალა უნდა ჰქონდეს რაიმე ვალდებულებას იმ ქვეყნის შესახებ, საცა არეულობა სუფევს და საცა მთავრობას (ვითომ ავღანისტანის ემირს) თავგზა ებნევა ამ არეულობას გამო? ჩვენ გვგონია, რომ აღარავითარი ძალა აღარ უნდა ჰქონდეს და თუ ავღანისტანში კიდევ მეტად აირია საქმეები და ინგლისმა დაიჭირა ყანდაარი, ადვილად შესაძლებელია, რომ ჩვენ ჰერათი დავიჭიროთო.

**

ზოგიერთს გაზეთებს მეტად არ მოსწონთ, რომ საფრანგეთის ახალს სამინისტროში არ მოჰყვა გენერალი ბულანჟე და ამისათვის ყოველ გვარს უბედურებას უქადიან მთავრობასაცა და ქვეყანასაცა.

> ადვილი ყოფილა ამოშლა მინისტრთა სიებიდამ ბულანჟეს სახელისაო, ამბობს გაზ. „С.-Петер. Вѣд."-ი, მაგრამ ისე ადვილი არა ყოფილა იმ თანაგრძნობისა და სიყვარულის აღმოფხრა, რომელიცა ჰქონია ხალხს ამ გენერალისაო. 15 ათასი კაცი ერთად შეიკრიბა პარიჟის ქუჩაში და ჰყვიროდა: „გაუმარჯოს ბულანჟესაო!", „ძირს გრევი!" „ძირს პრუსაკებიო!" გული რომ იჯერა ყვირილით ხალხმა, ელისეის სასახლისკენ გაემართაო.
>
> ბულანჟეს მტრები და გერმანიის მომხრე ბურჟუები დაიძახებენ, რომ უქმი და მაწანწალა ხალხის ბრალია ეგ უწესოებაო, მაგრამ ნუ დაივიწყებენ, რომ ეს ხალხი ცოტათი მაინცა ჰგავს ნამდვილს საფრანგეთის ერსა და იმათიოდე ცბიერს და მოხერხებულს ბურჟუას-კი, რომელთაც საფრანგეთის ბედი ხელში ჩაუგდიათ, ეს მნიშვნელობაც არა აქვთ.
>
> ნურც იმას დაივიწყებენ ეს ვაჟ-ბატონები, რომ დიდი გარჩევაა, როცა ქუჩაში ჰყვირიან: „გაუმარჯოს კომუნასაო!" და როცა ჰყვირიან: გაუმარჯოს ბულანჟესაო". თუ პირველს შემთხვევაში უმრავლესობა თანაგრძნობას არ გაუწევს მყვირალა ხალხს მშვიდობიანობის სიყვარულითა, მეორე შემთხვევაში, ადვილად შესაძლებელია, რომ უმრავლესობაც გაიტაცოს ამ ყვირილმა.
>
> პარიჟის ქუჩის ხალხი—საფრანგეთი არ არის, ეს მართალია, მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ამ ხალხმა ბევრი სახელმწიფო ცვლილება მოახდინა და ეს ცვლილებანი მთელს საფრანგეთს შეაწყნარებინა.

ტყუილად ამოჰფარებია გაზეთი ბულანჟეს სახელს და ბულანჟეს დაცვით სხვა საქმის დაცვას გამოსდგომია. პირ-და-პირი ლაპარაკი უფრო სჯობდა: მახათი ტომარაში არ დაიმალებაო, ნათქვამია. საფრანგეთმა თვით უკეთ იცის თავისი საქმე.

**

თუ „С.-Пет. Вѣд"-ი საბუთებს ეძებს და ისე ცდილობს რჩევა და დარიგება მისცეს საფრანგეთსა და გააფრთხილოს მოსალოდნელის ამბოხების წინაშე, მეორე გაზეთი, სახელად „Минута", პირ-და-პირ წინასწარ-მეტყველობას: ამბოხება მოხდება საფრანგეთში და გენერალ

---

გე, ჩემო გერიტო,—გულ-ახდით უთხრა ჩიტმა:—და ამიტომ სჯობია მაგალითი მითხრა რამე.

— ბატონი ბძანდები, ჩემო ჩიტო, მიუგო ქმარმა. წარმოიდგინე თუნდა აქლემი თავის კოზაკით (ამ დროს აქლემების ქარავანი დაინახეს). ყველა აქლემი, რასაკვირველია, აქლემია და ყველა კოზაკიც—კოზაკი. თუ დედააქლემს ნოყიერი და ბლომა რძე აქვს, კოზაკის ყურის გდება იცის, თავის დროზედ აწოვებს, თავის დროზედ ალერსს არ აკლებს, მაშინ კოზაკი ამისთანა დედას სულ გვერთ დასდევს, ერთს წამსაც არა ჰშორდება და დაკარგვითაც არასოდეს არ დაიკარგება. პირ-იქით, როდესაც კოზაკს არც დედის რძე იზიდავს, არც ალერსი, არც სხვა გვარი ზრუნვა, რომელსაც-კი კოზაკის ბუნება მოითხოვს, უკანასკნელის თვალში რა ფასი უნდა ჰქონდეს დედას? რითი განირჩევა მაშინ კოზაკისათვის დედა-აქლემი სხვა აქლემებისაგან? უეჭველია, კოზაკი ამისთანა დედას გულ-გრილად მოეპყრობა, არც უკან დაედევნება, ან სხვას მიეკედლება, ან ქარავანს ულდგილო-ადგილას უკან ჩამორჩება და სრულიად დაიკარგება.

„ამ რიგად მე მზრუნველი დედა-აქლემი ვარ; ჩემი ჭკვა და გონება ანუ ღირსებანი—ნოყიერი და ბლომა რძეა; კოზაკი შენა ხარ. აბა ეხლა შენა გკითხავ: ჩემისთანა დედა-აქლემს ძლიერ შეიყვარებს თუ არა შენისთანა კოზაკი?

ყველა მიხვდება, რა პასუხს მიიღებდა ამ შემთხვევაში გერიტი ჩიტისაგან. ჩიტს უამა, რომ მისი ძნელი საკითხავი ასე ადვილად ახსნა მისმა ქმარმა და თან ცოტა ხანს ასეთს ფიქრს მიეცა: „სწორედ რომ მართალი სთქვა ჩემმა გერიტმა; თუ არ მისი ჭკვა და გონება, მისი მშვენიერი ხასიათი—მაშ რა მიზეზი უნდა იყოს მისდამი ჩემის ასეთის სიყვარულისა? მაგრამ მისი სილამაზე-ღა?.. განა ამისთვის უფრო არ მიყვარს ჩემი გერიტი?" მოაგონდა ბოლოს ეს გარემოება ჩიტს და თავის გუნებაში გარდასწყვიტა, რომ თუ ეს გერიტმა სიყვარულის სხვა მიზეზთაგან გამოსტოვა, მის გულ-მაეიწყობას უნდა მიეწეროსო.

არ გასულა ორი-სამი დღე ამის შემდეგ, რომ ერთს დილას, როდესაც თავისი ქმარი სამსახურში გაისტუმრა და სახლში მარტო ჯდომით მოიწყინა, ჩიტმა მოიგონა თავის სიყრმის მეგობარი ერთი ქალი, რომელსაც „ბედნიერება" ჯერ არსაიდამ არა ჰლირსებოდა. მოაგონდა ის პირ-შეკრულობა, რომლის ძალითაც მათ ერთმანეთი სამარემდის არ უნდა დაეიწყებოდათ; მუდამ ერთმანეთისათვის წერილითა თუ სხვა გზით თავიანთი ყოფა-ცხოვრება ეცნობებინათ, დარდი და სიხარული განეზიარებინათ. მოიგონა ყველა ეს და გარდასწყვიტა, პირობისამებრ, ეხლავე წერილი მიეწერა. მიუჯდა მაშინათვე ტაბლას, დაიდო წინ ქაღალდი, აიღო კალამი და დასწერა მოკლე, დაახლოვებით შემდეგის შინაარსის წერილი.

„ბეღნიდგან განუშორებელო დარო!

აღარ ვიცი, რა სიტყვები ვიხმარო, რომ ჩემი სიხარული და ბედნიერება აღგიწერო? გახსოვს თუ არა, ამ ოთხი-ხუთის წლის წინად მე და შენ ერთად განმარტოვებით რომ ვისხდით და ჩვენს საქმროებზედ ვოცნებობდით ხოლმე? ღმერთო ჩემო, რას არ ვამბობდით მაშინ! დღეს მე სწორედ იმ ნეტარებაში ვიმყოფები, რომელსაც ჩვენ იმ დროს სულ-წასულები ვნატრობდით. შენთვის ყოვლად შემძლებელს ღმერთს სხვას არაფერს არა ვსთხოვ იმის გარდა, რომ შენც მალე ისეთივე ჭკვიანი, ისეთივე გონიერი, ყველაფრის მცოდნე (სილამაზე დაავიწყდა) და ყოველისფრით ანგელოზი ქმარი შეგყაროს, როგორიც მზერითაც, ღვთის მოწყალეობით, დღეს მე ვსტკბები.

შენი თაფლო."

დაწერის უმალვე წერილი კონვერტში ჩასდო, დააწერა ზედ ადრესი და მოსამსახურის ხელით ფოსტაში გაჰგზავნა. თავის ვადაზედ გერიტი დაბრუნდა სახლში. ჩიტი, ჩვეულებისამებრ, გერიტს ალერსითა და ერთის ამბით მიეგება კარებშივე და ახარა კიდეც:

— იცი, ჩემო გერიტო, დღეს ჩემს მეგობარს მაროს შენზედ რა ქების წერილი მივსწერე?

— რა ქების წერილი? ცოტა გაკვირვებით იკითხა გერიტმა.

— გინდა წერილის შინაარსი გარდმოგცე, მე სულ ზეპირად მახსოვს?

— ვნახოთ.

ამის შემდეგ ჩიტმა ზედ-მიწევნით, სიტყვა-სიტყვით თავის მეგობართან მინაწერის წერილის შინაარსი გარდასცა და ბოლოს სრულიად დარწმუნებულმა, რომ ამით ჩემს ქმარს ძლიერ ვასიამოვნებო, უკანასკნელს ორივე თავისი ფაფუკი ხელები მკერდზედ დააწყო და ალერსით სავსე ღიმილით ჰკითხა:

— მოგწონს, თუ არა?

— ეჰ, ჩიტუნიავ! ეს რა მისაწერი იყო? პატა გაოცებით და უკმაყოფილებით (რომელიც მაინც წყრომას არა ჰგავდა) უთხრა ჩიტმა. სწორე გითხრა, ვერ მოგსვლია კაი საქმე.

— ვითომ რატომ, შენ გენაცვალოს ჩემი თავი? ჰკითხა ამ მოულოდნელის გარემოებისაგან შეფიქრიანებულმა და შერცხვენილმა ჩიტმა.

— რატომ და იმიტომ, რომ ჩემზედ ქება არ უნდა მიგეწერა.

— მერე აქ ტყუილი ხომ არა არისრა? განა შენ თვითონ ამ აზრისა არა ხარ? იმ დღევანდელი შენი მაგალითი მაშ რას ამტკიცებს, თუ არ იმას, რასაც მე ჩემს წერილში ვამბობ?

ჩვენს გერიტს გაახსენდა აქლემის და კოზაკის ამბავი და ნეჯზედ იკბინა; ცოტა ხანს შედგა, არ იცოდა, რა ეთქვა. ბოლოს როგორც იყო მოახერხა:

— მართალია, იმ დღეს ჩემს თავზედ ცოტა არ იყოს მეტი მომივიდა, მაგრამ ის მხოლოდ შენ გითხარ; სხვას იმას როგორ ვეტყოდი. ცოლ-ქმარში თუ საიდუმლო არა დარჩა-რა, რას ევგანება? იმ დღეს ვსთქვი და შეიძლება ბევრი რამ სხვა დროსაც ვსთქვა, მაგრამ ყველაფერი რომ სხვას შეატყობინო ხოლმე, ეს სად წავა, ჩემო ჩიტო? შეტყობინებასაც შეტყობინება ჰქვიან: სხვის თქმას ჯანი გავარდეს და თავის ქებას და კვეხნას-კი უზრდელობაში ჩამოგვართმევენ.

ჩიტი გამშრალი დარჩა: რას მოელოდდა და რა პასუხი მიიღო გერიტისაგან? მაგრამ კარგად ვერ მიხვდა გერიტის წყენის მიზეზს: „მე ქმარი ვაქე და არა ჩემი თავი; რა უნდა იყოს აქ სათაკილოვო", ჰფიქრობდა ჩიტი თავისთავად; მხოლოდ „მაგალითის" მოთხოვნას ამ ჟამად დადუმება არჩია.

მაშ ნაწყენი დარჩა გერიტი?—ნაწყენი დარჩა; მხოლოდ იმიტომ-კი არა, ჩემი თავი ჩემს ჩიტს ამ წინაზედ რად ვუქეო, არამედ იმიტომ, ჩიტმა ეს სხვას რად გარდასცაო.

კიდევ ბარაქალა გერიტის ბიჯობას, რომ ამ ჟამად არ მიჰბაძა იმ ქმართა დასს, რომელნიც სიამოვნების ღიმილით ისმენენ, როდესაც მათი ერთგული მეუღლენი უცხოთა წინაშე ქება-დიდებას ლაპარაკობენ

ბულანჟეს დიქტატორად გამოაცხადებენო.

განა რატომ არ უნდა იყოს დასაჯერიო, ამბობს ეს გაზეთი, რომ ერთს მშვენიერს დღეს მოვიდეს შემდეგი ამბავი დაუწუნარებელისა და გულ-ჩვილის პარიჟიდამ: დეპუტატები პალატისა მიფანტულ-მოფანტულ იქმნენ, გრევიმ უარჰყო პრეზიდენტობა დადროებით მთავრობის მოთავედ გამოცხადებულია ბულანჟეო.

იმ გვარს გაზეთს, როგორიც არის „Минута", ამაზედ ღრმა და შორს-მხედველი მოსაზრება აღარც-კი მოეთხოვება. «წუთის» გაზეთს რომ ასეთი წუთიერი ფანტაზია მოსვლია, აქ გასაკვირველი არა არის-რა.

# უცხოეთი

**ბოლგარია.** ვენაში მისულან გეშოვი და სტრანსკი. ხმ. გაუვრცელებიათ, რომ მუტკუროვს განზრახვა აქვს სამსახურიდგან გადადგესო.

**საფრანგეთი.** პარიჟიდგან დეპეშით აუწყებენ გაზ. «Neue Freie Presse»-ს, რომ რუვიეს თავ-მჯდომარეობით შედგენილი სამინისტრო განსაკუთრებით ოპორტუნისტთა კაბინეთიაო; ამათი აიხსნება ის გარემოება, რომ ოპორტუნისტთა გაზეთები ძალიან მადლიერნი არიან ამ ახალის სამინისტროსი და სარჩლსა და ქომაგს უწევენო. არც კონსერვატორი გაზეთები ეწინააღმდეგებიან ახალს სამინისტროს. გაზ. „Figaro" ამბობს: დარწმუნებულნი ვართ, ახალს სამინისტროზედ ყველა იმ აზრისაა, რომ დიდხანს არ იცოცხლებსო და ეს არის ესლა დაკეცმა, ეს არის ესლაო, იტყვიან ხოლმე, მაგრამ ეს სამინისტრო იმდენს ხანს მაინც იცოცხლებს, რამდენიც გობლეს სამინისტრომ იცოცხლა, შვიდს თვესაო. კლემანსოს გაზეთი „Justice" ამბობს, რომ იმისთანა სამინისტროს შედგენა, როგორიც ჩვენი ახალი სამინისტროა, დიდს სირცხვილად უნდა მიაჩნდეს საფრანგეთის დიდებულს სახელსაო. გაზ. „Radical"-ი წინასწარ-მეტყველობს, რომ ახალმა სამინისტრომ მხოლოდ თუ ამ თვეს გასტანაო. რომფორი დასცინის ახალს სამინისტროს და ამბობს, რომ ერბეტტისა, გრევისა, ფერრისა, რუვიესა და გერმანიის შორის რადაც მეგობრობა და მორიგება სუფევს და ამ გარემოებას უნდა მიეწეროს ისეთის სამინისტროს შედგენა, როგორიც შეადგინესო. გაზ. „Lanterne" ჰკიცხავს რესპუბლიკის პრეზიდენტს, რომ მინისტრებად შენის სამხედრო კანცელარიის უფროსები დააყენე და არასოდეს რადიკალები არ იკადრებენ, ფერრის მომხრეებთან რაიმე დამოკიდებულება და მეგობრობა იქონიონო.

**გერმანია.** ორმოც-და-ხუთ კაცს ელზასელს წინააღმდეგობა გამოუცხადებიათ, ჯარში არ წავალთო და ამის გამო გერმანიის მთავრობას სამართალში მიუცია ეს ორმოც-და-ხუთი კაცი. სასამართლოს გადაუწყვეტია ამ ელზასელებისათვის, რომ ან 240 მან. ჯარიმა უნდა გადიხადოთ მთავრობის წინააღმდეგობისათვის და ან ექვსის კვირით ციხეში იქმნეთ დაპატიმრებულიო.

— გაზ. „Figaro"-ში დაბეჭდილია ბაასი, რომელიც ამ გაზეთის ბერლინელს კორრესპონდენტსა ჰქონია ერთს გერმანიის სახელმწიფო მოღვაწესთან. სახელმწიფო მოღვაწეს გერმანიისას უთქვამს კორრესპონდენტისათვის: „გერმანიაში არ არსებობს არც თავად ბისმარკის პოლიტიკა და არც იმპერატორის პოლიტიკა; გერმანია მხოლოდ ერთად-ერთს პოლიტიკას მისდევს და ეს პოლიტიკა გერმანიის პოლიტიკაა; საფრანგეთი-კი ხან გამბეტტას პოლიტიკას მისდევს, ხან ფერრისა და ბულანჟეს პოლიტიკას და ბისმარკი-კი უწინარესს ყოვლისა ჯერ გერმანიაზედ ჰფიქრობს და მერე გერმანიის იმპერატორზე. ესლა, როცა გერმანია და საფრანგეთი ასე დაუახლოვდნენ ერთმანეთს, უფრო მოსალოდნელია ამ ორთა სახელმწიფოთა შორის ბრძოლის ატეხვა, ვიდრე აქამდე იყო. გერმანიას იმპერატორი თუმცა ოთხმოც-და-ათის წლისაა, მაინც წინ გაუძღვება ჯარს, თუ ომი აუცილებელი იქმნება. თუ ომი არ მოხდა, ამის მიზეზი ის-კი არ იქნება, ვითომ გერმანიის იმპერატორი ძალიან მოხუცებულია და არ უნდა თავის უკანასკნელი დღენი ბრძოლაში გაატაროსო, არამედ ის იქნება, რომ არავინ არ არის ომის მოსურნე და მოწადინე; ჩვენთვის სულ ერთია, ვინ იქმნება საფრანგეთის სამხედრო მინისტრის თანამდებობაზე, ბულანჟე თუ არმურიე; ჩვენ მხოლოდ არა გვსურს ისეთი კაცები იდგნენ საფრანგეთის მთავრობის მეთაურებად, რომელნიც 1887 წელს 1870 წლის თვალით უყურებენ. კიდევ ვიმეორებ, გერმანია ომს არ არის მოწადინებული და არც ეძებს ვისთანმე წაკინკლავებასა და ბრძოლას, ხოლო თუ ომი აუცილებელი იქმნება, გერმანია უკან არ დაიხევს და მზად დახვდება ყოველ შემთხვევასაო."

**იტალია.** ამ უკანასკნელს დროს იტალიაში ხმა გაავრცელეს, რომ ვითომ ამ ახლო ხანებში პაპი და კვირინალი ერთმანერთს მოურიგდებიანო. ზოგიერთმა გერმანიის გაზეთებმა ისიც-კი სთქვეს, რომ იტალიის კოროლს ჰუმბერტს განზრახვა აქვს რომი სრულიად დაუბრუნოს პაპს და ამ ქვეყნის სამოქალაქო და საერო მბრძანებლადაც პაპი აღიაროსო. ეხლა ყველა ამ ხმებს დაბეჯითებით უარ-ჰყოფს იტალიის ოფიციოზური გაზეთი და ამბობს, რომ იტალიის მთავრობა დიდის სიამოვნებით მოურიგდებოდა პაპს, ხოლო არაფერს დაუთმობს თავის მხრივ, რადგან ასეთი მორიგება იტალიის სახელმწიფოს დამცირება იქმნებაო. პაპის გაზეთი „Osservatore Romano"-კი ამბობს თავის მხრივ, რომ რომის მომავალი პაპს ეკუთვნისო; რომის ქალაქი დღეს იქნება თუ ხვალ ისევ პაპს დაუბრუნდებაო.

**ბელგია.** 17 მაისს ბრუსელში კრება ჰქონიათ პროგრესისტებს და 317 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 127 ხმისა მიუღიათ კანონ-პროექტი იმისი, რომ პარლამენტის ამორჩევაში ყველას ხმა ჰქონდესო; ამას გარდა დაუმტკიცებიათ 379 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 45 ხმისა, რომ ხმა ყველა წერა-კითხვის მცოდნე მოქალაქეს უნდა ჰქონდესო.

## საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები

(წერილი მეხუთე)

Записки общества любит. Кавказ. Археологіи, книга I, изд. подъ редак. помощ. предсѣд. общ. Ад. Берже и члена комит. общ. Дим. Бакрадзе. Тифлисъ 1875 г.

აღნიშნული წიგნი თითქმის იმ სიდიდე ქაღალდზეა დაბეჭდილი, რამ სიდიდეზედაც იბეჭდება გაზ. „ივერია". შეიცავს 187 კაბადონს, რომელთაგან 1—19 კაბადონი უჭერია ად. ბერჟეს წერილს „კავკასია არქეოლოგიურის მხრით", 19—179-მდე დიმ. ბაქრაძეს თხზ. „ძველნი საქრისტიანო ძეგლნი კავკასიაში", 179—182-მდე აღნიშნულის საზოგადოების წესდებას, 182—186 იმავე საზოგადოების ანგარიშს და 186—187 დამატებას.

ჩვენთვის საყურადღებოა ორი პირველი წერილი და დამატება.

ად. ბერჟე. კავკასიის არხეოლოგია მისწვდება და იკვლევს იმ დროთაც-კი, რომელნიც მეცნიერთაგან ცნობილია ქვისა, ბრინჯაოს და რკინის ეპოქებად. ამ აზრის დასამტკიცებელი საბუთებიც აღმოჩნდნენ. მაგ., 1864 წ. ყულფისა და ნახიჩევნის მარილის მადნებში იპოვნეს ქვის ჩაქუჩ-გრდემლნი, რომელნიც თავის გამოსახულობითა და მოყვანილობით ჰგვანან არა თუ ამ გვარსავე ევროპაში ნაპოვნს იარაღებს, არამედ იმათაც, რომელნიც აღმოჩენილ იქმნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში, „ზემო ტბის" ახლოს, სპილენძის ძველს მადნებში. ამ მხრით უფრო შესანიშნავია ქვის ხერხი; იგი აღმოჩნდა თრიალეთის მხარეს, სოფ. საჯვში. ეს ხერხი ჰგავს იმ ხერხსა, რომელნიც აღმოჩნდნენ ევროპაში და რომელნიც ეკუთვნიან ქვის ეპოქას.

ქვის ეპოქის ზედ-მიწევნით აღნიშნვა ფრიად ძნელია, რადგან იგი ეპოქა ყველა ქვეყნებში ერთსა და იმავე დროს არ ყოფილა. მაგალითებრ, შვეიცარიაში, ზოგიერთ მეცნიერების აზრით, ქვის ეპოქა უნდა ყოფილიყო არა უახლოეს 7,000 წ. ქრისტემდე, დანიაში-კი 3,000 წლისა, მეხუთე და მეექვსე საუკუნოებში-კი ქრის. წინად უნდა ყოფილიყო ბრინჯაოს ეპოქა.

სხვა-და-სხვა ეპოქების აღნიშნვას აღარ გამოვეკიდებით, ამბობს ბერჟე და გიტყვი-კია, რომ დედა-მიწამ აწინდელი სახე მიიღო წარღვნის დროიდამაო. წარღვნა და წარღვნისაგან მოხდენილი ცვლილებანი, ყველა ერას ზეპირ-გარდმოცემაში, დაკავშირებულია არარატის მთის სახელთან. ამავე მთის არე-მარეში უნდა ვეძებოთ ზენდთა მამული. ამათი სჯულ-მდებელი ზოროასტრი დაიბადა ქალაქ ურმიასა. ზოროასტრმა ცვლილებანი მოახდინა ცეცხლთ თაყვანის-მცემლობაში. ცეცხლის თაყვანის-ცემა გავრცელდა მრავალგან, და საქართველოში მოსპო წმ. ნინომ. სომხებიც ამავე დრომდე სიმღერით შეაქებდნენ ხოლმე ვაჰანსა, ანუ ზოროასტრსა და რომაელების მფლობელობამდე-კი არტაქსატში ენთო საღმრთო ცეცხლი (მ. ქორენელი).

ზოროასტრის სჯული დაამხეს ასირიელებმა. ამათ დაიპყრეს, სხვათა-შორის, ამიერ-კავკასიაც და აქ ორმუზდის (ზოროასტრის) მაგიერ დაადგინეს ღმერთნი: ასტარტა, ანატაიდა, ბაალი, მოლოქ და სხ. კოლხიდაში იყო აშენებული ლევკოთეას (ასტარტა) ტაძრები. ეს ტაძრები შემდეგში გაძარცვა მიტრიდატ პერლამელმა. ასტარტა-ანატაიდას თაყვანის-ცემა გავრცელებული იყო აგრეთვე ყირიმში და დონისა, დნეპრისა და დნესტრის მხარეებშიაც.

ასირიამ პოლიტიკურად რომ ფეხი მოიკიდა საქართველოში და აქ გაავრცელა თვისი სარწმუნოება. ამ დროს წარმოსდ-

---

მათზედ, არამც თუ ცალკე, არამედ მათისავე თანა-დასწრებით.

**

ერთს მშვენიერს დილას (მხოლოდ მაისისას-კი არა) ჩიტი და გერიტი თავიანთ სადგომის აივანზედ ჩაის გიახლებოდნენ და ჩვეულებისამებრ ტკბილს საუბარს შეექცეოდნენ. ახლად შეყვარებულებივით მათ საუბარი დარის გარჩევიდამ დაიწყეს. ის იყო მსოფლიო ისტორიის კრიტიკაზედ გადავიდოდნენ, რომ ერთს გარემოებას მათთვის ხელი არ შეეშალა.

მაღალის თუთის ხიდგან, რომელიც მათ სიახლოვეს, სწორედ აივანის პირ-და-პირ, მწვანედ ამართულიყო, ვატის კნავილი მოესმათ; კატის კნავილი შემდეგ ბატკნის ბღავილად გარდაიქცა; ბატკნის ბღავილი—ციკნისად; ციკნისა—ქათმის კაკანად და სხვ. ამ უცნაურმა მოვლენამ, რასაკვირველია, უცებ მიიპყრა ცოლ-ქმრის ყურადღება, რომელთაც მიზეზის გასაგებად თვალები გააცეცეს. თუთის ტოტებში მალე ცნობილი ჩხიკვი გაარჩიეს.

— წარმოიდგინე, რაღაც ფრინველი სჩანს! გაოცებით დაიძახა ჩიტმა.

— სწორედ ფრინველია; მე სრულიად გარდამავიწყდა, რომ ეს ჩხიკვის უნარი უნდა ყოფილიყო, მიუგო გერიტმა.

— ოჰ, რა საკვირველი და ამასთან საძაგელი ფრინველი რამ არის ეს ჩხიკვი, რომ იცოდე, ჩემო ჩიტო, განაგრძო იგივემ. წარმოიდგინე მაგისთვის ღმერთს არ მიუცია არც მოლაღურის სიკეკლუცე, არც ბულბულის ზეგარდმო ნიჭი, არც კრავის მარგებლობა, არც თუ კატის კლანჭები და ვერ-კი მოისვენებს, რომ ყველა ამათ სათითაოდ არ დასცინოს, არ დაჰგმოს.

სიტყვა არ დაეთავებინა, რომ მეგაზეთემ აივანზედ გერიტის წინ გაზეთი შემოაგდო (შვიდის წლის განმავლობაში ჰფიქრობდა და ცოლი რომ შეირთო, იმ წელიწადს ძლივს გაბედა გაზეთის გამოწერა; იქმნება იმიტომ... მაგრამ—დარჩეს). გერიტი დაეწოდა, აიღო, გადაფურცლა და პირველად ახალ ამბებიდამ დაიწყო კითხვა. სხვათა შორის შემდეგიც ამოიკითხა: „ნამდვილის წყაროებიდამ შევიტყეთ, რომ ჩვენს გამოჩენილს პოეტს N-ს ახალი პოემა დაუწერია და მალე დაიბეჭდება კიდეცაო".

— ჰმ, ჩაიცინა გერიტმა, სამჯერ ზედი-ზედ გაიქნივ-გამოიქნივა თავი და უკმაყოფილებით გაიმეორა გაზეთის სიტყვები: „გამოჩენილს პოეტს"... გასაოცარია, ღმერთმანი, ჩვენში ყველა ყასაბს მალე გამოჩენილს პოეტს დაუძახებენ! N-ს პოეზიისა იმდენივე გაეგება, რამდენიც ღორს ფორთოხლისა—რუსების თქმისა არ იყოს; და ყველას „გამოჩენილს პოეტად"-კი მიაჩნიათ! ოჰ, უმეცრებავ? სინანულით შეჰბღავლა ბოლოს გერიტმა.

გაზეთის კითხვა განაგრძო. მიადგა შემდეგს ამბავს: „ქართული ლიტერატურა დღითი-დღე მდიდრდება, რამდენსამე ახალგაზრდას განუზრახავს ჩვენის წარჩინებულის მწერლის X-ს თხზულებათა ერთად შეკრება და დაბეჭდვა ავტორის სურათით".

— ერთი ეს არის კიდევ დოვლათი! წარმოსთქვა გერიტმა. ყოველი ამისი სიტყვა რაიმე სისულელეს შეიცავს; მადლიანი იმდენს ნაწერებში ჯერ ერთი არა წამოსცდენია-რა უნებურადაც და მის თხზულებათა დაბეჭდვაში-კი ფულის დახარჯვა განუზრახავთ. მერე ისიც სურათით დაუპირებიათ ბეჭდვა! სწორედ, რომ ჰეშმარიტადა სჯიან, რომელნიც ამბობენ: ჩვენებს არამც თუ ჯიბეში, არამედ თავშიაც არა უყრიათ-რა, როდესაც ღღემდის კაცის ცნობის შნო ღმერთს ჩვენთვის არ მოუციაო.

არა ნაკლები ეპიტეტები უძღვნა გერიტმა სოფლელ კორრესპონდენტებს, რომელთაც გაზეთის იმ ბედკრულს ნომერში ერთის ყოფით თავიანთი გვარები გაეპრტყელებინათ და რომელნიც მეორე დღეს ვინ იცის, რა გულის გძერით მოელოდნენ გაზეთში დაბეჭდილ თავიანთ სიტყვის ნახვას!

ჩიტი თავიდგანვე გულს-მოდგინედ ყურს უგდებდა გაზეთის კითხვას და თავის ქმრის უფასო რეცენზიებს; ანაზდად სიცილს მოჰყვა; სიცილი ხარხარად გადაექცა და თან-და-თან ხარხარს ისე მოუმატა, რომ თავი ველარ შეიკავა, ადგილიდგან წამოხტა და ოთახში შევარდა.

— ქალო, რა ამბავია, რა მოგელანდა? მიაძახა გერიტმა, სრულიად გაოცებულმა.

— ხა, ხა, ხა, ხა, ხა! მოესმა პასუხის მაგიერად.

— გამაგებინე, ქალო, რაზედ იცინი, იქმნება მეც გავიცინო?

— ხა, ხა, ხა! მოისმა ისევ.

— ღმერთო დამიხსენ; ეს რას ნიშნავს? წარმოსთქვა გერიტმა, დააგდო გაზეთი და გაუგებარის ღიმილით გამოედევნა ჩიტს.

რასაკვირველია, ჩიტი ვერ გაუძალიანდა; მალე იგი ისე შეიპყრო გერიტმა, როგორც ბელურა შავარდენმა.

— აბა, არც ეხლა მეტყვი, რაზედ იცინი? არ მეტყვი? არ მეტყვი? მიაყოლა ზედი-ზედ გერიტმა და თან კლავეგში მაგრა ჩაავლო, თითქო შიშობდა საუკუნოდ ხელითგან არ გამიფრინდესო.

— გამიშვი და გეტყვი, მიუგო ჩიტმა ისევ სიცილით.

— აჰა, ესეც გაგიშვი! მიაძახა გერიტმა და მთლად შეპყრობისაგან გაანთავისუფლა,

— არ გეწყინება, რომ გითხრა სიცილის მიზეზი? ჰკითხა ღიმილით ჩიტმა.

— რად მეწყინება, სრულიადაც არ მეწყინება, რაც უნდა სთქვა, დაარწმუნა გერიტმა.

— მაშ კარგი. სიცილი იმიტომ ამიტყდა, რომ გაზეთს რომ ჰკითხულობდი და შენ თვად რაღაცეებს უმატებდი, უცებ ჩხიკვი მომაგონდა, სთქვა ეს ჩიტმა და ისევ გაიცინა.

— აი, შე ეშმაკო შენა! ჩხიკვს დამადარე განა? რა მოქმედება ისეთი, რომ ჩხიკვი მოგაგონებია? ჰკითხა ცოტათი აწითლებულმა გერიტმა, რომელსაც ამასთანავე თავში ასეთმა ფიქრმა გაურბინა: „მართლა რომ სიცილის საბაბი მე მივეცი; ეს ოხერი, ან ჩხიკვი რაღა ეხლა შემოჯდა ამ თუთაზედ, ან ცოტა გაზეთს მაინც დაეგვიანაო".

მაგრამ გერიტმა ყოველთვის ასე თუ ისე გაჭირებიდამ გამოსვლის ხერხიც იცოდა, ნამეტნავად ჩიტის წინაშე.

— სულ ტყუილად მიმამგზავსე, ჩემო ჩიტო, ამ ქამად ჩხიკვსა: ჩხიკვს ისეთი კაცი ჰგავს, რომელსაც თვითონ არაფერი არა გაეგება-რა და სხვის დაცინვა და კილვა-კი უყვარს. მე, შენც დამემოწმები, ცოტა რამ უნდა მესმოდეს. და ამიტომ არც დასაძრახისი ვიქმნები, რომ სხვაზედ რაიმე საკუთარი მსჯელობა ვიქონიო.

რას იტყოდა ამაზედ ჩიტი? ჩიტს უიმისოდაც სჯეროდა, რომ „ჩემი გერიტი ყველაფრის მცოდნეაო" და ნუ თუ ამ შემთხვევაში შეჰბედავდა და საბუთებს მოსთხოვდა?

ალ. მირიანაშვილი

(დასასრული იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა



გა წოდება კოლხთა ანუ კოლხიდელთა, მოჰხდა მიგზაურობა არგონავტებისა ამ ქვეყანაში და გაიმართა პირველი ვაჭრობა ფინიკელთა და ბერძენთა კავკასიასთან. მე-VII საუკუნეში-კი შავის ზღვის ნაპირებზე გაიმართნენ ბერძენთა ახალ-შენნი და ამავე ხანებში დაიმხო ასურეთის სამეფო, რომლის სამაგიეროდ გაძლიერდნენ ბაბილონისა და მიდიის სამეფონი და ამათ შემდეგ-კი სპარსეთისა. საქართველო ამ უკანასკნელ სახელმწიფოს მე-18 სასატრაპო იყო.

ალექსანდრე მაკედონელის შემდეგ სელევკიდების დროს მსწრაფლად მძლავრდება სომხეთი. ანნიბალი აშენებს სამეფოს სატახტო ქალაქს არტაქსატს. მეფეთ-მეფე ტიგრანი-კი (60—95) ჰბატონობს ყველა ქვეყნებზე კავკასიიდგან ბაბილონამდე და კასპიის ზღვიდგან მდ. იორდანემდის. ამ ტიგრანს ამარცხებენ რომაელები მიტრიდატთან ერთად. ეს უკანასკნელი სამის წლის თავზე შეებრძოლება რომაელებს, მაგრამ პომპეი ამარცხებს და შემოდის საქართველოში. ქართველნი იბრძვიან რომაელებთან და იძლევიან. პომპეი მიდის დიოსკურიაში და იქიდგან რომს.

რამდენისამე ხნის შემდეგ რომის ჯარი ანტონის წინამძღოლობით ამარცხებს პართელებს, მეღანიდამ გადმოდის არეზზე და 35 წ. ქრ. წინად სომხეთს უთმობს პტოლომეს, უთმობს აგრეთვე საქართველოსაც. რომაელთა გავლენა საქართველოზედ უფრო შესამჩნევი იყო იმპერატორების კაის, კლავდის და ნერონის დროს.

საქრისტიანო ხანის დასაწყისიდამ საქართველოსა და სომხეთში ჰმეფობენ არშაკიდები და მათ შემდეგ სასანიდები. ამ უკანასკნელების დროს იწყობა სპარს-ბერძენთ ომები. ომების მოედანი არის სომხეთი და საქართველო. ეს ქვეყნები ოხრდებიან მებრძოლთაგან. ამასობაში ისპობა შთამომავლობა სასანიდთა და საქართველოს ტახტს იჭერენ ბაგრატიდნი ანუ ბაგრატიონნი (575 წ.).

635 წლიდგან არაბნი შემოესევიან სომხეთს და შემდეგ საქართველოს. მთელის საუკუნის განმავლობაში არბევენ ამ ქვეყნებს. უფრო დიდი ზიანი საქართველოს მოუტანა არაბთა ჯარების უფროსმა მურვან-ყრუმ. ხალიფათა წარმომადგენელნი ჰბატონობდნენ ტფილისში თითქმის ოთხი საუკუნე.

მე-XI საუკ. სომხეთსა და სამხრეთ საქართველოს არბევენ სელჯუკნი თოღრულ-ბეგის, არპ-ასლანის და მალექ-შაჰის წინამძღოლობით.

ბაგრატ III-დგან (980—1014) იწყობა ხანა საქართველოს დიდებისა და თამარის ბრწყინვალე მეფობის შემდეგ-კი (მე-XIII საუკუნიდამ) საქართველო ხდება ამბოხებათა და დავი-დარაბათა ბუდედ, მტერთა ნავარდობის ასპარეზად. მე-XIII საუკუნეში ამ ქვეყანას შემოესევიან მონგოლნი და ერთს საუკუნეს ბატონობენ. 1385 წლიდამ ექვსჯერ საქართველოს შემოესევა თემურლენგი. იგი აოხრებს, ჰბუგავს ქვეყანას და სისხლის წვიმებს აწვიმებს.

მე-XVI საუკ. დასაწყისიდამ არა ნაკლებ თემურლენგისა აოხრებენ საქართველოს შაჰ-ისმაილი, შაჰ-თამაზი და შაჰ-აბასი. ამავე დროს დასავლეთის საქართველოს აოხრებენ ოსმალეთის სულთანნი. ასეთი მდგომარეობა ჰსუფევდა იმერეთში 1574 წ.—1754 წლამდე. ამერეთში ერეკლე მეორის დროს 1795 წ. მძვინვარებდა აღა-მაჰმად-ხანი, რომელმაც გააოხრა ტფილისი.

მ. ჯანაშვილი

(დასასრული იქნება)

# დეპეშა

28 მაისი

პეტერბურგი. სახელმწიფო საბჭომ გამოაცხადა წესნი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დათხოვნილ-იქმნან ნოტარიუსები თავიანთ თანამდებობიდგან. საბჭომ შესცვალა მე-16 მუხლი სანოტარიალო დებულებისა 1883 წ და მე-59 მუხლი 1886 წ. დებულებისა, რომელშიაც ნოტარიუსების დათხოვნისა და ვალდებულების წესია მოხსენებული. შეცვლილი მე-16 მუხლი ამბობს, რომ ნოტარიუსების დათხოვნა შეიძლება მარტო სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ და ერთიც იმ შემთხვევაში, რომელიც მოხსენებულია მე-59 მუხლის დამატებაში, ესე იგი მაშინ, როცა არ ეშესაბამება დებულების მოთხოვნილებას, ყურადღებას არ აქცევს თავის ვალდებულებას. დათხოვნა შეუძლიან უფროს თავმჯდომარეს სასამართლო პალატისას, თუ ნოტარიუსს შეამჩნევა უზნეო მოქმედება. მე-226 მუხლის ძალით ნოტარიუსის გადაყენება აღარ შეიძლება იმ სასამართლოს განაჩენის ძალით, რომელიც განკარგულების მოსახდენად შეიკრიბება ხოლმე.

გამოცხადდა სახელმწიფო საბჭოს აზრი, რომლის ძალით ქვანახშირსა და კოკსს ბაჟი ემატება. ნახშირს ქვისას, ტორფისას, ხისას და აგრეთვე თვით ტორფსაც, რომელსაც შემოიტანენ შავის ზღვისა და აზოვის ზღვის ნავთ-სადგურებში, დაედო 3 კაპ. დასავლეთის ხმელეთის სამზღვარზედ 2 კაპ. და ბალტიის ზღვის ნავთ-სადგურებზე 1 კაპ. თითოეულ ფუთზე ოქროს ფულითა—კოკსში $4^1/_2$ კ., 3 კ. და $^1/_2$ კაპ. იმავე ადგილების მიხედვით თეთრის ზღვის ნავთ-სადგურებში ნახშირი, კოკსი და ტორფი უბაჟოდ შეიძლება შეიტანონ.

დღეს განსაზღვრული ბაჟი იმ ქვა-ნახშირზედა და კოკსზედ, რომელიც მიტანილ იქმნება ბალტიის ზღვის პორტებში და დასავლეთის სამზღვრით შემოვა რუსეთში, აღარ იქმნება მომატებული 1898 წლის 1 იანვრამდე. ეს დაწესებანი შემოღებულ იქმნება იმ დღიდამ, რა დღესაც გამოცხადდება სჯულ-დებულებათა კრებულში.

მერვი. აქ დაბალის ხარისხის ვერცხლს იძენენ ერთიან თექლები, რომელნიც ქაღალდის მანათიანში 90 კაპ. იძლევიან., ბუხარის სამფლობელოში ქაღალდის მანათიანი 72 კაპ. ფასობს.

სევედინი. საერო მეურნეობათა მინისტრმა ინახულა წყალ-მოვარდნილი ადგილები და აგრეთვე ის ადგილები, რომლებშიაც შიშობენ წყალი მოვარდებაო. იმედი აქვთ, რომ თუ მაგარს გოდორ-ყურეებს ავაგებთ, გადავარჩენთ ქალაქ მაგოს, რომელსაც სრულიად დაღუპვა მოელისო.

პარიჟი. სამხედრო მინისტრმა გადასწყვიტა, რომ სამხედრო უწყების უმთავრესს გამგეობებში შემცირდეს შტატები.

პარიჟი. საქალაქო გამგეობამ განკარგულება მოახდინა, რომ სამის თთვის განმავლობაში ყველა თეატრებსა და საკონცერტო დარბაზებში შემოღებულ იქმნას ელექტრონით განათება გაზის მაგიერადაო.

დარმშტადტი. აქ დიდის მთავრის სერგეი ალექსანდრეს ძის პატივსაცემლად აღლუმები იყო და ჯარები დათვალიერებულ იქმნა.

პარიჟი. ის გავრცელებული ხმა, რომ ვითომ გენერალს ფერრონს განზრახვა აქვს ხელი აიღოს ბულანჟეს პროექტზე ერთის ქვეითა კორპუსის ნიმუშად საომარ ფეხზედ დაყენების გამო, დაბეჯითებით უარ-ყოფილ იქმნა.

29 მაისი

პეტერბურგი. გამოცხადდა აზრი სახელმწიფო საბჭოსი იმის თაობაზედ, რომ მომატებულ იქმნა უბრალო გერბის გადასახადი და ფასი საქტო გერბის ქაღალდისა: სამ აბაზის მაგიერ ოთხი აბაზი დაინიშნა; ეს წესი არ შეეხება პასპორტებსა და მოკლეს ვადით სადმე წასვლისათვის საჭირო ქაღალდებსა. ორ შაურის მაგიერ დაინიშნა სამი შაური; ეს წესიც არ შეეხება იმ ოქმებსა და საბუთებსა, რომელიც დასახელებულია მე-3 და მე-5 მუხლში წესდების მე-13 სტატიისა. შეიცვალა სხვა-და-სხვა გვარის საქტო გერბის ქაღალდის ფასიცა. ერთი თაბახი ეღირება 1 მან. 65 კაპეიკიდამ მოყოლებული 1031 მანათამდე. სანოტარიალო აქტების გადასახადი ერთი ორად იქმნა მომატებული, ვიდრე ღირდა გერბის ქაღალდი 1874 წლის წესდებით. ზემოხსენებულის გადასახადის მომატება შემოღებულ იქმნება მაშინ, როცა გამოცხადდება ის წესი, რა წესითაც უნდა იხმარებოდეს გერბის ქაღალდები, ვიდრე გამოილევა ძველი გერბის ქაღალდი და მარკები. წესის გამოცხადების შემდეგ ერთი თთვე უნდა გავიდეს და მხოლოდ მაშინ მოემატება ფასი იმ ქაღალდებს, რომელიც ზემოდ არის მოხსენებული.

გამოცხადებულია აზრი სახელმწიფო საბჭოსი იმ საშუალებათა თაობაზე, რომელთა შემწეობითაც ფიქრობენ, რომ თუთუნის ვაჭრობამ მეტი შემოსავალი მისცეს ხაზინას: ბანდეროლების ტარიფები და მათი გასასყიდი ფასი შეიცვლება: უცხოეთიდამ შემოტანილს ფუთს თამბაქოს დაედება 15 მან. 40 კაპ. ოქროს ფულითა, ფურცლობით იქმნება იგი თამბაქო, თუ დაჭრილი. ერთ გირვანქა მოსაწევს თამბაქოს დაედება 1 მან. და 30 კაპ. დაჭრილი იქნება თუ დაფხვნილი. ერთ გირვანქა სიგარებს დაედება 3 მან. 20 კაპ. ახალი ტარიფი ბანდეროლებისა შემოღებულ იქმნება 1 იანისიდამ.

რუსეთის ელჩი ბერლინში, გრაფი შუვალოვი კვლავ დაბრუნდა ბერლინს.

ომსკი. სამხედრო გუბერნატორი სემირეჩინსკის ოლქისა იწერება დეპეშით ქალაქ ვერნიდამ, 28 მაისს: „დღეს დილის ხუთ საათზე მოხდა აქ საშინელი მიწის-ძვრა. დაინგრა და დაზიანდა მრავალი შენობა, მათ შორის გუბერნატორის სახლი, გიმნაზია, საავადმყოფო და ეკკლესიები. საჩქაროდ და ხელად შეკრებილის ცნობებიდამ სჩანს, რომ დაიღუპა 120 კაცი, უფრო ყმაწვილები, გენერალი ფრიდე, მისი მეუღლე და შვილები დაშავდნენ. ნაობახტში დაიღუპა 15 პატიმარი, 125 კაცი დაიჭრა და დაშავდა; უმეტესი ნაწილი შენობებისა დაინგრა და დაზიანდა; ქალაქი ქალაქად აღარ ჩაითვლება. მცხოვრებლები გაიხიზნენ ქალაქს გარედ. მოწოდებულია ჯარები ქონების დასაცველად. დაუყოვნებლივ საჭიროა, რომ შემწეობა მიეცეს საზრდოსა და თავ-შესაფარს მოკლებულთა. მიწის-ძვრა ჯერაც არ შეწყვეტილა.

პეტერბურგის ბირჟა, 26-ს მაისს

ფ ა ს ე ბ ი:

| | მყიდველისა | გამყიდველისა | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — › | — › | 8 98 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — › | — › | $173^3/_4$ |
| მანათიანი ვერცხლის ფული, . . . . . . . | — › | — › | 1 30 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . | — » | — › | $267^3/_4$ |
| — მეორისა . . . . . | — › | — › | 244 |
| გირავნობ. ფურცელნი: | | | |
| ტფილისის ბანკისა. . . | — › | — › | — › |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — › | — › | — › |
| ტფილისის ურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . . . , . | — › | — › | — › |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპზ (1887) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7395**.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

მაისი 31 დღით არის.

**30 დღე შაბათი.** წმ. ისაკ დალმატელისა. სომეხ. გახსნილება მარხვისა. კათოლ. ფერდინანდისა და ფელიქსისა. მუსულ. მე-20 რიცხვი თთვისა რამაზანისა, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—59. ტფილისში მზე ამოდის 4—24, ჩადის 7—35. მთვარე 20 დღისაა.

**31 დღე კვირა.** წმ. მოციქ. ერმისა და მოწ. ფილოსოფოსისა. ალების ღამე პეტრე-პავლეს მარხვისა. მარხვაა ოთხი კვირა. სომეხ. ნახატონაქი. ფრანგთა. ყოვლად წმ. სამების დღესასწაული. მუსულ. მე-21 რიცხვი თთვისა რამაზანისა, 1304 წ. ჰიჯრისა. გარდაცვალება იმამის აბუთალიბასი. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—59. ტფილისში მზე ამოდის 4—24, ჩადის 7—35. მთვარე 21 დღისაა.

## გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

16 მაისიდამ 1 თიბათვემდე.

| | | | |
|---|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | | 5 | კაპ. |
| წითელი პური 1-ის ხარისხისა . | | $2^1/_2$ | › |
| › 2 | › | 2 | › |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | | 5 | › |
| › › 2— | | 3 | › |
| › › 3 | › | $2^1/_2$ | › |
| ჯვარის მამის პურის ლახვაში 1-ლის ხარისხისა . | . | 5 | › |
| მე-2 ხარისხისა . | . | $3^1/_2$ | › |
| მე-3 — . . | . | › | › |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | | 8 | › |
| › 2 | › | 7 | › |
| სუკი. . . | . | 14 | › |
| ცხვრის ხორცი . . | . | 8 | › |
| ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა. | | › | › |
| › 2 | › | › | › |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, სამზღვარ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მისწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირმის გემს,

შაბათობით დილის 9 საათზე და მისწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ ბათუმის საავენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ორშაბ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდა პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ საჭირო ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების საავენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.


## კერძო განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება

გრ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში

ლექსნი ნინო ორბელიანისა

ავტორის სურათით.

ფასი ორი აბაზი.

ცალკე სურათი სქელ ქაღალდზედ 20 კ.

დაიბეჭდა და ისყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში ახალი სკოლებში სახმარებელი სახელმძღვანელო წიგნი მიხეილ ნასიძისა:

ქართველი მწერლები

II

დავით გურამიშვილი

ფასი 20 კაპ.

ეს წიგნი შეიცავს წინასიტყვაობას, დავით გურამიშვილის ბიოგრაფიას და 14 საუკეთესო ლექსს, ამოღებულს «დავითიანიდამ». ყოველივე ძნელი სიტყვა სხოლიოში განმარტებულია და ისტორიულს ლექსებსაც აქვს საჭირო ისტორიული შენიშვნები. (10—4)


Дозв. цен. Тиф. 29 мая, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе" (Н. И. Френкель) Караванъ-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე